ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი #10

ქ. ცაგერი 09 ივნისი, 2026 წელი

საკრებულოს სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს თავმჯდომარე ვასილ საღინაძე
ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: რეზო ხეცურიანი;
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: მარიკა კოპალიანი, ონისე ჩაკვეტაძე;
საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები: თამაზი ჭაბუკიანი, ზაზა ყურაშვილი,
ნოდარი საღინაძე, გიორგი გუგავა, ე. საღინაძე;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილეები:
მამუკა მამარდაშვილი, ბესიკი ჩანქსელიანი, ოთარი თვარაძე,
გ. გოგებაშვილი, მ. ჩიქოვანი;

ფრაქცია ,,ხალხის ძალის“ თავმჯდომარე: ლაშა ლეთოდიანი;
ფრაქცია ,,ხალხის ძალის“ თავმჯდომარის მოადგილე: ნიკა ქომეთიანი;
ფრაქცია ,,ლეჩხუმი საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილე: გოდერძი ახვლედიანი;
საკრებულოს წევრები: მურმანი თოთაძე, ჯონი ხალიანი, გორდა გვიშიანი, გ. გოლეთიანი,
მარი ბურჯალიანი, თამაზ თვარაძე, ხვიჩა ჩხეტიანი, თ. ნემსწვერიძე,
ბერდია კვირიკაშვილი, კახა ყურაშვილი;

საკრებულოს აპარატის უფროსი: თამთა ონიანი
საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი: ნინო მეგრელი

დღის წესრიგი

განკარგულება:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ მოსწავლეების მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ ორგანიზებულ ღონისძიებებზე მივლინებისას კვებით უზრუნველყოფისთვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 თებერვლის №3 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. კვირიკაშვილი/

სხდომის თავმჯდომარემ - ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად:

განკარგულება:

1. ,,ცაგერის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ მოსწავლეების მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ ორგანიზებულ ღონისძიებებზე მივლინებისას კვებით უზრუნველყოფისთვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 თებერვლის №3 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ჭ. ჭაბუკიანი, გ. კვირიკაშვილი/

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 27
წინააღმდეგი - 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

საკითხი 1

,,ცაგერის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ მოსწავლეების მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ ორგანიზებულ ღონისძიებებზე მივლინებისას კვებით უზრუნველყოფისთვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 თებერვლის №3 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ მოსწავლეების მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ ორგანიზებულ ღონისძიებებზე მივლინებისას კვებით უზრუნველყოფისთვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 თებერვლის №3 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით დეტალურად ისაუბრა საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ, აღნიშნა, რომ ცაგერის მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ ღონისძიებებში მონაწილე ცაგერის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ მოსწავლეების კვებით უზრუნველყოფისთვის საჭირო დღიური თანხა ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 თებერვლის №3 განკარგულებით შეადგენს 20 ლარს.

არსებული რეალობიდან გამომდინარე აღნიშნული თანხის ოდენობა არ შეესაბამება დღევანდელ მოთხოვნებს, რასაც ადასტურებს ჩატარებული ფასთა კვლევები, შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებთ აუცილებლობას წარმოადგენსდანართის ფორმულირებას, კერძოდ მე-3 მუხლში მოსწავლეების კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო დღიური თანხის ოდენობა განისაზღვროს 30 ლარით.

საკრებულოს თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკითხი დასამტკიცებლად დააყენა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 27
წინააღმდეგი - 0

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა განკარგულება **,,ცაგერის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ მოსწავლეების მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ ორგანიზებულ ღონისძიებებზე მივლინებისას კვებით უზრუნველყოფისთვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 თებერვლის №3 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომის თავმჯდომარემ ვასილ საღინაძემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე: ვასილ საღინაძე